



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 245

ქალაქი ქუთაისი 30 მარტი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის  
ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 88-ე მუხლის შესაბამისად:

**მუხლი 1.** შეფასდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში დადებითად.

/ანგარიში წინამდებარე განკარგულებას  
თან ერთვის/

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი

### ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის

#### ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2014 წლის 19 დეკემბერს ქალაქ ქუთაისის საკრებულოს N59 დადგენილებით 47555,4 ათასი ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში შევიდა 8 ცვლილება და წლის ბოლოს 72352,2 ათასი ლარი შეადგინა.

2015 წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის შემდეგი პრიორიტეტები განისაზღვრა:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;

ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება;

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საქმიანობის გაუმჯობესება, დახვეწა და მოქალაქეთათვის გამჭვირვალე და ხარისხიანი მომსახურების გაწევა;

სკოლამდელი განათლების დაფინანსება და ხელშეწყობა;

ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული და სპორტული ღონისძიებების განხორციელება, სპორტისა და კულტურის დაწესებულებების დაფინანსება;

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება;


ტურიზმის განვითარება. ქალაქის, როგორც ტურისტული მომსახურების ცენტრის ჩამოყალიბება.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსულობების გეგმის ფაქტობრივმა შესრულებამ (ნაშთის ჩათვლით) 72231,7 ათასი ლარი შეადგინა.


#### ქალაქ ქუთაისის 2015 წლის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2015 წელი		
	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება
შემოსავლები	44 755,4	63 190,1	62 336,2
გადასახადები	4 500,0	4 850,0	5 073,2
გრანტები	32 118,0	47 584,8	47 393,9
სხვა შემოსავლები	8 137,4	10 755,3	9 869,1
ხარჯები	44 301,4	48 487,1	45 846,9
შრომის ანაზღაურება	5 410,8	4 410,3	4 120,8
საქონელი და მომსახურება	4 104,0	7 399,5	6 763,3
პროცენტი	60,0	60,0	57,5
სუბსიდიები	32 139,6	26 236,8	25 504,2
გრანტები		3 336,2	3 311,8
სოციალური უზრუნველყოფა	2 587,0	2 604,0	2 413,5
სხვა ხარჯები		4 440,3	3 675,8
საოპერაციო სალდო	454,0	14 703,0	16 489,3

არაფინანსური აქტივების ცვლილება	-350,0	19 668,6	15 229,9
ზრდა	2 450,0	22 668,6	18 177,1
კლება	2 800,0	3 000,0	2 947,2
მთლიანი სალდო	804,0	-4 965,6	1 259,4
ფინანსური აქტივების ცვლილება	0,0	-5 862,1	410,0
ზრდა	0,0	300,0	7 358,3
აქციები და სხვა კაპიტალი		300,0	300,0
სხვა დებიტორული დავალიანებები			7 058,3
კლება	0,0	6 162,1	6 948,3
სხვა დებიტორული დავალიანებები		6 162,1	6 948,3
ვალდებულებების ცვლილება	-804,0	-896,5	-849,4
ზრდა			
კლება	804,0	896,5	849,4
საშინაო	804,0	896,5	849,4
ბალანსი	0,0	0,0	0,0




სახეობების მიხედვით შემოსულობები შემდეგნაირად გამოიყურება:




### შემოსავლები

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსავლებმა (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 62336,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 63190,1 ათასი ლარის 98,6%-ია.



**გადასახადების** სახით 2015 წელს ადგილობრივ ბიუჯეტში მოზიარებულია 5073,2 ათასი ლარი, რომლის დიდი ნაწილი ქონების გადასახადზე მოდის. გეგმა (4850,0 ათასი ლარი) შესრულდა 104,6%-ით.


**ქონების გადასახადიდან** საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად მიღებულია 5057,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (4850,0 ათასი ლარი) 104,3%-ია, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი – 3803,0 ათასი ლარი (გეგმა 3940,0 შესრულდა 96,5%-ით), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი – 257,4 ათასი ლარი (გეგმა 110,0 ათასი ლარი შესრულდა 234%-ით), გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე – 996,9 ათასი ლარი (გეგმის 800,0 ლარი 124,6%). მთლიანობაში ქონების გადასახადიდან წინა წელთან (ფაქტი – 4664,6 ათასი ლარი) შედარებით მიღებულია 392,7 ათასი ლარით მეტი შემოსავალი. სხვა გადასახადების სახით ბიუჯეტში მიღებულია 15,9 ათასი ლარის შემოსავალი.



ქონების გადასახადი	2015 წლის გეგმა	2015 წლის ფაქტი	შესრულების %
საწარმოთა ქონებაზე გადასახადი	3940,0	3803,0	96,5
ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი	110,0	257,4	234,0
მიწაზე ქონების გადასახადი	800,0	996,9	124,6
სულ:	4850,0	5057,3	104,3


**გრანტები**

2015 წელს გრანტების სახით ქუთაისის ბიუჯეტში ჩაირიცხა 47393,9 ათასი ლარი, გეგმის (47584,8 ათასი ლარი) 99,6%, აქედან **სხვა დონის სახელმწიფოთა ერთეულებიდან მიღებული გრანტები შეადგენს 47393,9 ათას ლარს**, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი – 31898,0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი – 220,0 ათასი ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაგეგმილი 14579,0 ათასი ლარიდან მიღებულ იქნა – 14445,3 ათასი ლარი. ასევე, ბიუჯეტში ჩაირიცხა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ფინანსური დახმარება – 830,6 ათასი ლარი.



**სხვა შემოსავლები**

2015 წლის განმავლობაში სხვა შემოსავლების კუთხით შემოვიდა 9869,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 10755,3 ათასი ლარის 91,8%-ს შეადგენს.



**დივიდენდებიდან** ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულია 10,0 ათასი ლარი.

**პროცენტის სახით** ბიუჯეტში ჩაირიცხა 1625,0 ათასი ლარი.

**რენტის** სახით ბიუჯეტში შემოსულია 216,9 ათასი ლარი, მათ შორის:

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის – 144,7 ათასი ლარი; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან – 72,2 ათასი ლარი, გეგმა (100,0 ათასი ლარი) შესრულდა 72,2%-ით;

**სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** – 1956,8 ათასი ლარი, გეგმის (2100,0 ათასი ლარი) 93,2%; **ადგილობრივი მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა)** – 55,3 ათასი ლარი, გეგმის (60,0 ათასი ლარი) 92,2%;

**სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი** – ფაქტობრივად შემოვიდა 10,0 ათასი ლარი, რაც გეგმას (15,0 ათასი ლარი) 5,0 ათასი ლარით აჭარბებს;

**ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის** შესრულდა 105,8%-ით (გეგმა 1580,0 ათასი ლარი), ფაქტობრივად შემოვიდა 1671,0 ათასი ლარი. ასევე, სხვა არაკლასიფიცირებული ადგილობრივი მოსაკრებლების კუთხით მიღებულია 27,2 ათასი ლარი;

**საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლიდან** მიღებულია 0,6 ათასი ლარი;

**შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)** – ფაქტობრივად შემოსულმა თანხამ შეადგინა 2589,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (2201,7 ათასი ლარი) 117,6%-ია;

**შემოსავალი მომსახურების გაწევიდან** მიღებულია 560,7 ათასი ლარი;

**შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების** კუთხით სულ მიღებულია 1145,8 ათასი ლარი, გეგმა (1908,6 ათასი ლარი) შესრულდა 60%-ით. წლიური გეგმის განსაზღვრა მოხდა წინა წლების (2013–2014 წ.წ.) ფაქტებიდან გამომდინარე, თუმცა, 2015 წელს ამ დარგში ნაკლები შემოსავალი იქნა მიღებული, კერძოდ, შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვიდან, 456,2 ათასი ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი – 689,6 ათასი ლარი.

### არაფინანსური აქტივები

არაფინანსური აქტივების კუთხით ადგილობრივ ბიუჯეტში ჩაირიცხა 2947,2 ათასი ლარი, გეგმა (3000,0 ათასი ლარი) შესრულდა 98,2%-ით, სადაც ძირითადი აქტივების გაყიდვიდან შემოვიდა 1122,7 ათასი ლარი, ხოლო მიწის გაყიდვიდან 1824,5 ათასი ლარი.

დასახელება	2015 წელი		
	გეგმა	ფაქტი	%
<b>არაფინანსური აქტივები</b>	<b>3000,0</b>	<b>2947,2</b>	<b>98,2</b>
შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	900,0	1122,7	124,7
შემოსულობა არაწარმოებული აქტივის (მიწის) გაყიდვიდან	2100,0	1824,5	86,9

### ფინანსური აქტივები

2014 წლის ბოლოს ფინანსურმა აქტივებმა შეადგინა 6948,3 ათასი ლარი, ხოლო 2015 წლის ბოლოს ანგარიშზე დარჩა 7058,3 ათასი ლარი.

### ვალდებულებები

ადებული ვალდებულებების დასაფინანსებლად 2015 წლის ბიუჯეტში წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 896,5 ათასი ლარის ოდენობით, აქედან:

ქალაქ ქუთაისის მერიასა და მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, 2015 წლის ბიუჯეტიდან დახარჯულ იქნა ქალაქ ქუთაისში 2004–2005 წლებში განხორციელებული პროექტებისათვის ადებული ვალდებულების დასაფინანსებლად 684,8 ათასი ლარი.

წინა პერიოდში შეუსრულებელი ვალდებულებების დასაფარად და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფისათვის დაიხარჯა 108,7 ათასი ლარი. სულ წლის მანძილზე დაიფარა 849,4 ათასი ლარის ოდენობის ვალდებულება.

### გადასახდელები

2015 წლის განმავლობაში ბიუჯეტის გადასახდელების საკასო შესრულებამ შეადგინა 65173,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 72352,2 ათასი ლარის 90,1%-ია. 2015 წლის ბოლოს განხორციელდა ხარჯვითი ნაწილის სრულყოფილი ოპტიმიზაცია, რის შედეგადაც საანგარიშო პერიოდში ადებული ვალდებულებები შესრულდა 100%-ით და შეადგინა 65173,4 ათასი ლარი. შესაბამისად ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ დაფინანსდა საბიუჯეტო ორგანიზაციების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები, შესრულდა ქალაქის ინფრასტრუქტურისა და სოციალურ სფეროებში არსებული ყველა აუცილებელი ვალდებულება.


2015 წლის ქუთაისის ბიუჯეტის გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაცია შემდეგნაირად გამოიყურება:

დასახელება	2015 წელი			
	წლიური გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %	ნაშთი
<b>ხარჯები</b>	<b>48 487,1</b>	<b>45 846,9</b>	<b>94,6</b>	<b>2 640,2</b>
შრომის ანაზღაურება	4 410,3	4 120,8	93,4	289,5

საქონელი და მომსახურება	7 399,5	6 763,3	91,4	636,2
პროცენტი	60,0	57,5	95,8	2,5
სუბსიდიები	26 236,8	25 504,2	97,2	732,6
გრანტები	3 336,2	3 311,8	99,3	24,4
სოციალური უზრუნველყოფა	2 604,0	2 413,5	92,7	190,5
სხვა ხარჯები	4 440,3	3 675,8	82,8	764,5
არაფინანსური აქტივები	22 668,6	18 177,1	80,2	4 491,5
ფინანსური აქტივები	300,0	300,0	100,0	0,0
ვალდებულებები	896,5	849,4	94,7	47,1
<b>სულ გადასახდელები</b>	<b>72352,2</b>	<b>65173,4</b>	<b>90,1</b>	<b>7178,8</b>

დაგეგმილი 72352,2 ათასი ლარის გადასახდელებიდან 2015 წლის მანძილზე დაიხარჯა 65173,4 ათასი ლარი, ხოლო დარჩენილი 7178,8 ათასი ლარი შეადგენს საბიუჯეტო ეკონომიას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით:





ორგანიზაციული კლასიფიკაციით 2015 წლის გადასახდელები შემდეგნაირად გამოიყურება:

დარგების დასახელება	2015 წლის დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	%
<b>საერთო დანიშნულების ხარჯები</b>	<b>7 552,4</b>	<b>7 106,3</b>	94,1
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1 224,7	1 072,6	87,6
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	4 755,1	4 559,6	95,9
სარეზერვო ფონდი	370,0	366,8	99,1
წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	140,0	108,7	77,6
კრედიტის დაფარვა (მ.გ.ფ.)	754,0	742,3	98,4
საჯარო მოსამსახურეთა სწავლება-გადამზადება	45,0	6,3	14,0
საგრანტე პროგრამა „ნარჩენების მართვის ინოვაციური გამოცდილების დანერგვა“	213,1	206,0	96,7
საგრანტე პროგრამა „ქუთაისის ეს მუშაობს“	50,5	44,0	87,1
<b>თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება</b>	<b>1 386,9</b>	<b>1 332,6</b>	96,1
მერიის სახანძრო უსაფრთხოებისა და სამაშველო სამსახური	1 161,4	1 157,5	99,7
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახური	225,5	175,1	77,6
<b>ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია</b>	<b>32 886,1</b>	<b>27 592,0</b>	83,9
<b>საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა</b>	<b>16 526,6</b>	<b>13 203,9</b>	79,9
გზებისა და ხიდების რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	14 792,4	12 228,9	82,7
პროგრამა: „ცენტრალური გზებიდან საცხოვრებელი სახლების ეზობამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია“	354,0	341,7	96,5
საგზაო ნიშნების დამონტაჟებისა და მაგისტრალის მონიშვნითი სამუშაოები, ფირნიშების დამზადებისა და გაკვრის პროგრამა	440,2	333,3	75,7
შპს „პარკინგსერვისი“	300,0	300,0	100,0
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 დეკემბრის №2616 განკარგულების საფუძველზე „სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების“ პროგრამა	640,0		0,0
<b>კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია</b>	<b>11 229,9</b>	<b>10 684,6</b>	95,1
ააიპ „სპეციალური სერვისები“	4 288,1	4 284,2	99,9
საკანალიზაციო სისტემების, ღვარსადენების, წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები, მათ შორის:	501,6	355,8	70,9
პროგრამა „კორპუსი“	2 523,2	2 234,1	88,5
„დატაკი ოჯახის“ სტატუსის მქონე ოჯახების საცხოვრებელი სახლების გადახურვა	300,0	272,3	90,8
გარე განათების, ვიდეოკონტროლისა და შუქნიშნების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3 617,0	3 538,2	97,8
<b>მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები</b>	<b>3 098,6</b>	<b>1 865,2</b>	60,2
შადრევნების ექსპლოატაცია	364,0	352,5	96,8
ქალაქის გამწვანების მოვლა-პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამა	662,7	576,8	87,0
სახალწლოდ ქალაქის გაფორმების ღონისძიებები	166,3	73,3	44,1
ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობის პროგრამა	200,0	78,0	39,0
ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის და სხვა სტრატეგიული დოკუმენტების, ასევე ეკონომიკური ურთიერთობებისათვის საჭირო ღონისძიებების პროგრამა	35,0	1,5	4,3
თვითმმართველობის ქონების რეგისტრაციის, დაცვისა და ბალანსზე აყვანის პროგრამა	96,5	51,6	53,5
ტელსკამებისა და საბავშვო ატრაქციონების შექმნა-მონტაჟი	100,0	46,8	46,8
ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელება	100,0	42,2	42,2
გაუთვალისწინებელი კეთილმოწყობის ღონისძიებები	50,0		0,0
ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი შენობების რეაბილიტაცია	300,0		0,0
მრავალსართულიანი სახლების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა	984,1	610,8	62,1
ქალაქ ქუთაისისში ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამა	40,0	31,7	79,3
<b>ტურიზმის განვითარების პროგრამა</b>	<b>1 665,0</b>	<b>1 618,9</b>	97,2
<b>საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა</b>	<b>366,0</b>	<b>219,4</b>	59,9
<b>განათლება</b>	<b>10 241,6</b>	<b>9 771,0</b>	95,4
ააიპ „ბაგა-ბაღების გაერთიანება“	8 450,0	8 357,1	98,9
განათლების ღონისძიებები	185,0	163,2	88,2

ქალაქ ქუთაისში ახალი ბაგა-ბაღების კაპიტალური მშენებლობა	1 606,6	1 250,7	77,8
<b>კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები</b>	<b>16 707,8</b>	<b>16 288,8</b>	97,5
<b>სპორტის განვითარების ხელშეწყობა</b>	<b>8 174,0</b>	<b>8 117,0</b>	99,3
სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	628,5	617,8	98,3
ააიპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება“	3 477,3	3 477,1	100,0
შპს „საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010“	870,0	870,0	100,0
ააიპ „ცინულის მოედანი“	380,0	379,9	100,0
მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობა	265,0	249,7	94,2
ააიპ „ქალაქ ქუთაისის ხელბურთის კლუბი „ქუთაისი 2015“	69,6	69,6	100,0
სპორტის სასახლე	200,0	186,5	93,3
ააიპ „ქუთაისის ტაიკვანდოს სპორტული კლუბი“	30,0	18,1	60,3
სპორტული ტრენაჟორების მოწყობა	50,0	44,7	89,4
შპს „საფეხბურთო კლუბი „ტორპედო ქუთაისი“	2 203,6	2 203,6	100,0
<b>კულტურის განვითარების ხელშეწყობა</b>	<b>8 121,7</b>	<b>7 863,3</b>	96,8
კულტურის ღონისძიებების პროგრამა	889,2	717,2	80,7
ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება“	2 831,0	2 827,8	99,9
ი.ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა	660,0	656,4	99,5
სსიპ „ნ.ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი“	83,0	59,0	72,3
სამეფო კომპლექსი „ოქროს ჩარდახი“	30,3	30,2	99,7
ააიპ „ქუთაისის ფოლკლორის ცენტრი – სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“	765,0	751,6	98,2
ააიპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი“	345,0	322,3	93,4
ააიპ „ბოტანიკური ბაღი“	315,0	314,8	99,9
ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	1 025,0	1 024,8	100,0
მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი	925,0	924,9	100,0
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი	205,0	205,0	100,0
ქალაქ ქუთაისში „ბოტანიკური ბაღის“ ინფრასტრუქტურის მშენებლობა	31,9	24,6	77,1
ქალაქ ქუთაისში სკულპტურული ქანდაკებების დადგმა-დემონტაჟისა და მემორიალური დაფების მოწყობის პროგრამა	16,3	4,7	28,8
<b>საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა</b>	<b>138,0</b>	<b>112,8</b>	81,7
<b>საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა</b>	<b>206,1</b>	<b>139,1</b>	67,5
<b>ქუთაის-გაენათის ეპარქია</b>	<b>68,0</b>	<b>56,6</b>	83,2
<b>მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>3 577,4</b>	<b>3 082,7</b>	86,2
<b>ჯანდაცვის პროგრამები</b>	<b>974,0</b>	<b>856,3</b>	87,9
ააიპ „ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“	150,0	140,2	93,5
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა დაწესებულებითი კლასების მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევა	20,0	19,9	99,5
ქუთაისში მცხოვრებ ეპილეფსიით დაავადებულთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა	31,0	29,5	95,2
მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა	300,0	236,3	78,8
სამედიცინო დახმარების პროგრამა	473,0	430,4	91,0
<b>სოციალური პროგრამები</b>	<b>2 603,4</b>	<b>2 226,4</b>	85,5
მარტოხელა მოხუცთა თავშესაფრის კომუნალური ხარჯების დაფინანსება	20,0	13,6	68,0
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	670,0	605,1	90,3
სარიტუალო დახმარების პროგრამა	70,0	37,4	53,4
სოციალური ღონისძიებების პროგრამა	385,0	360,8	93,7
უფასო მგზავრობის პროგრამა	167,0	119,9	71,8
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური ინტეგრაციის პროგრამა	25,0	14,2	56,8
განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომა	150,0	130,1	86,7
ააიპ „ქალაქ ქუთაისის მაღლიერების სახლი“	608,0	592,8	97,5
ქალაქ ქუთაისში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა	430,0	303,8	70,7
ქალაქ ქუთაისში გუმათის ტერიტორიული ერთეულის სოციალურად დაუცველი ოჯახების ბუნებრივი აირის გამრიცხველიანების ხელშეწყობის პროგრამა	20,0	8,0	40,0
საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილ მეთმართა ოჯახების კომუნალური გადასახადების თანადაფინანსების პროგრამა	24,0	9,9	41,3
შინმოვლის პროგრამა	20,0	20,0	100,0


ქუთაისში რეგისტრირებულ (მცხოვრებ) ლეიკოზით დაავადებულ პირთა თანადგომა	14,4	10,8	75,0
<b>სულ ხარჯები:</b>	<b>72 352,2</b>	<b>65 173,4</b>	90,1

**სარეზერვო ფონდიდან** დახარჯულმა თანხებმა შეადგინა 366,8 ათასი ლარი (გეგმა 370,0 ათასი ლარი) მათ შორის: მოქალაქეთა მატერიალური დახმარება – 341,6 ათასი ლარი; ჰუმანიტარული ტვირთის ტრანსპორტირების ხარჯისათვის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 5,2 ათასი ლარი. თურქეთში ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად მოსწავლეების გაგზავნა 20,0 ათასი ლარი.

**თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** – საანგარიშო პერიოდში ხარჯმა შეადგინა 1332,6 ათასი ლარი, გეგმა 1386,9 ათასი ლარი შესრულდა 96,1%-ით. მერიის სახანძრო უსაფრთხოებისა და სამაშველო სამსახური (შემდგომში სააგენტო) დაფინანსდა 1157,5 ათასი ლარით, ხოლო მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური – 175,1 ათასი ლარით.

**ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის** 2015 წლის საკასო შესრულება შეადგენს 27592,0 ათას ლარს. გეგმა განისაზღვრა 32886,1 ათასი ლარით (83,9%).

**საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა დაფინანსდა 13203,9 ათასი ლარით, გეგმა 16526,6 ათასი ლარი, შესრულდა 79,9%-ით.**



გზებისა და ხიდების რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები – დაფინანსდა 12228,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (14792,4 ათასი ლარი) 82,7%-ია. მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან ქალაქში გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები ჩაუტარდა 51 ქუჩას საერთო სიგრძით 22769 გრძ.მ. ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსების საფუძველზე გზების ორმოული შეკეთება განხორციელდა გზის 22872 მ² სიგრძეზე; ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტით მოეწყო 4 ქუჩის ბეტონის გზის საფარი.

ქალაქ ქუთაისში საგზაო ნიშნების დამონტაჟებისა და მაგისტრალების მონიშვნითი სამუშაოები, ფირნიშების დამზადებისა და გაკვრის პროგრამა – საკასო შესრულებამ შეადგინა 333,3 ათასი ლარი, გეგმა (440,2 ათასი ლარი) შესრულდა 75,7%-ით. აღნიშნული ბიუჯეტის ფარგლებში 10 ობიექტზე განხორციელდა 24 რეგულირების კუნძულის მოწყობა.

ცენტრალური გზებიდან საცხოვრებელი სახლების ეზობამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაციის პროგრამის გეგმა განისაზღვრა 354,0 ათასი ლარით, დაიხარჯა 341,7 ათასი ლარი (96,5%). მისასვლელი გზების რეაბილიტაცია განხორციელდა 30 ობიექტზე.

შპს „პარკინგსერვისს“ გადაერიცხა 300,0 ათასი ლარი, აღნიშნული თანხა ადგილობრივი ბიუჯეტისათვის შეადგენს ფინანსურ აქტივს. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 აგვისტოს N181 განკარგულების საფუძველზე 2015 წლის 3 სექტემბრის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის №1113 ბრძანებით დაფუძნებულ იქნა შპს „პარკინგსერვისი“, რომლის საქმიანობის მიზნად განისაზღვრა ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების ორგანიზება და მასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „პარკინგსერვისს“ იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაეცა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული პარკირების საერთო და სპეციალური ადგილები, რომლის ყოველწიურ საიჯარო ქირად განისაზღვრა 463 415.0 ლარი.

**კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის საკასო შესრულებამ 10684,6 ათასი ლარი შეადგინა, გეგმა 11229,9 ათასი ლარი, შესრულდა 95,1%-ით.**

ააიპ „სპეციალური სერვისები“ – 2015 წელს დაიხარჯა 4284,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (4288,1 ათასი ლარი) 99,9%-ია. ქვეპროგრამის ფარგლებში ყოველდღიურად იგეგმოდა 2367,4 ათასი კვ.მ. ფართი. 2015 წელს გატანილია და გაუენბელებოფილია 51100 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი. ამავე, პერიოდში მოხდა 602 მაღალი ტანის ხეების გადაბეღვა და დაკმაყოფილდა საშუალო მერქნით 258 სოციალურად დაუცველი ოჯახი. მაგისტრალის დახაზვა და მონიშნითი სამუშაოები ჩატარდა გამოყოფილ სპეციალურ ადგილებში. სულ დაიხაზა 3000 კვ. მეტრი და მასზე დაიხარჯა 2500 კვ.მ. საღებავი. ა(ა)იპ „სპეციალური სერვისების“ მიერ გაიწმინდა 26946 გრძივი მეტრი სანიაღვრე სისტემა.


საკანალიზაციო სისტემების, ღვარსადენების, წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები – დაფინანსდა 355,8 ათასი ლარით და გეგმა (501,6 ათასი ლარი) შესრულდა 70,9%-ით. პროგრამის ფარგლებში გზის რეაბილიტაციის დროს 2 ობიექტზე მოეწყო ახალი საკანალიზაციო სისტემა .

პროგრამა „კორპუსისთვის“ 2015 წლის ბიუჯეტში დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 2523,2 ათასი ლარი, აქედან დაიხარჯა 2234,1 ათასი ლარი (88,5%). 200,0 ათასი ლარის ფარგლებში კეთილმოეწყო და აღდგა 17 ლიფტი, 1200,8 ათასი ლარის ფარგლებში კეთილმოეწყო 62 საცხოვრებელი სახლის ეზო, 120 სადარბაზოს რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 767,3 ათასი ლარი, 10 საცხოვრებელი სახლის სარდაფში დაზიანებული წყალ-კანალიზაციის რეაბილიტაციისათვის დაიხარჯა 49,5 ათასი ლარი, გადასახური მასალა გადაეცა 23 ამხანაგობას.

„ლატაკი ოჯახის“ სტატუსის მქონე ოჯახების საცხოვრებელი სახლების გადახურვა – დაფინანსდა 272,3 ათასი ლარით და გეგმა (300,0 ათასი ლარი) შესრულდა 90,8%-ით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა „ლატაკი ოჯახის“ სტატუსის მქონე ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლის ავარიული სახურავის გადახურვა 60 ობიექტზე.

გარე განათების, ვიდეოკონტროლისა და შუქნიშნების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – საკასო შესრულებამ 3538,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმით გათვალისწინებული 3617,0 ათასი ლარის 97,8%-ია. აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში განხორციელდა 7 ახალი შუქნიშნის მოწყობა.

**ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებების საკასო შესრულება შეადგენს 1865,2 ათას ლარს, გეგმა 3098,6 ათასი ლარი შესრულდა 60,2%-ით.**



შადრევნების ექსპლუატაციისათვის გეგმით გათვალისწინებული 364,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 352,5 ათასი ლარი (96,8%).

ქალაქის გამწვანების, მოვლა – პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამა – დაიხარჯა 576,8 ათასი ლარი, გეგმა (662,7 ათასი ლარი) შესრულდა 87%-ით; განხორციელდა მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა და ექსპლუატაცია (სკვერები, ბაღები, გაზონები).

საახალწლოდ ქალაქის გაფორმების ღონისძიებები – დაზუსტებული გეგმიდან (166,3 ათასი ლარი) საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 73,3 ათასი ლარი, გეგმის 44,1%.

ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობის პროგრამა ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 78,0 ათასი ლარის ოდენობით, გეგმით გათვალისწინებული 200,0 ათასი ლარის 39%-ით. აღნიშნული თანხის ფარგლებში მოეწყო საყრდენი კედელი 5 ობიექტზე.

ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის და სხვა სტრატეგიული დოკუმენტების, ასევე, ეკონომიკური ურთიერთობებისათვის საჭირო ღონისძიებების პროგრამა – გეგმით გათვალისწინებული 35,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 1,5 ათასი ლარი (4,3%). პროგრამის ფარგლებში ქვეყნის გარეთ და შიგნით გამართულ გამოფენებზე დემონსტრირებულ იქნა ქუთაისური პროდუქციის შესაძლებლობები.

თვითმმართველობის ქონების რეგისტრაციის, დაცვისა და ბალანსზე აყვანის პროგრამა – სულ დაიხარჯა 51,6 ათასი ლარი და გეგმა (96,5 ათასი ლარი) შესრულდა 53,5%-ით. 2015 წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებულ იქნა 312 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სულ – 613000 კვ.მ. განხორციელდა 64 ერთეული ძირითადი ქონების რეგისტრაცია (სკვერი, გაზონი, მწვანე ზოლი, გზის ნაწილი და სხვა), ასევე, 9 ერთეული ავტოსადგომის რეგისტრაცია. სახელმწიფოს მიერ გადმოცემული და დარეგისტრირებულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 15 ერთეული შენობა-ნაგებობა ფართობით – 5114.0 კვ.მ. და 4 ერთეული მიწის ნაკვეთი – ფართობით 19670 კვ.მ. 2014 წელს დარეგისტრირდა 106 ერთეული მიწის ნაკვეთი, ჯამში 390000 კვ.მ; 72 ერთეული ძირითადი ქონება (სკვერი, გაზონი, ტროტუარი) და 12 შენობა-ნაგებობა; ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე 100 ერთეულ ადგილზე გაცემულ იქნა გარე ვაჭრობის ნებართვა. ასევე, განხორციელდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემა. პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით სარგებლობაში გაიცა 24 ერთეული უძრავი ქონება (ტროტუარის ნაწილი, გზის ნაწილი, შენობა-ნაგებობა), აღნაგობის უფლებით გაიცა 3 უძრავი ქონება, ხოლო უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გაიცა 11 უძრავი ქონება. საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული), საკუთრებაში არსებული ბინების

პრივატიზებისთვის გაიცა 178 ერთეული საკუთრების უფლების მოწმობა, ხოლო მოქალაქეების საკუთრებაში არსებულ 45 საცხოვრებელ ბინას მიენიჭა რიგითი ნომრები. მოქალაქეებისათვის გაცემულ ორდერებში, წინა წლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორებისათვის გამოშვებულ იქნა 29 ერთეული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება (2014 წელს ბინების პრივატიზებისათვის გაცემულ იქნა – 142 ერთეული საკუთრების მოწმობა, 20 საცხოვრებელ ბინას მიენიჭა რიგითი ნომრები).

ძელსკამებისა და საბავშვო ატრაქციონების შექმნა-მონტაჟის პროგრამის ხარჯი შეადგენს 46,8 ათას ლარს, გეგმა (100,0 ათასი ლარი) შესრულდა 46,8%-ით. შექმნილ იქნა 106 ერთეული ძელსკამი და 12 ერთეული საბავშვო ატრაქციონი.

ქალაქ ქუთაისში ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამა – დაიხარჯა 31,7 ათასი ლარი, გეგმით (40,0 ათასი ლარი) გათვალისწინებულის 79,3%.


მრავალსართულიანი სახლების რეაბილიტაციისა და პანდუსების მოწყობისათვის განსაზღვრული გეგმა 984,1 ათასი ლარი შესრულდა (610,8 ათასი ლარი) 62,1%-ით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის პანდუსების მოწყობა 6 ობიექტზე. აგრეთვე, რეაბილიტირებულ იქნა 21 შენობის ფასადი.

ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელება დაფინანსდა 42,2 ათასი ლარით, გეგმა (100,0 ათასი ლარი) შესრულდა 42,2%-ით.

ტურიზმის განვითარების პროგრამის საკასო შესრულება შეადგენს 1618,9 ათას ლარს, გეგმა განისაზღვრა 1665,0 ათასი ლარით (97,2%). წლის მანძილზე გაიმართა 9 საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობა. განხორციელდა საინფორმაციო ბროშურებისა და გზამკვლევების დაკაბადონება, ბეჭდვა, სანიშნე ტირაჟით 1500 ცალი; ქალაქ ქუთაისის რუკა – ტირაჟით 1500 ცალი; ბროშურა – ტირაჟით 1500 ცალი; ქუთაისის გზამკვლევი – 1500 ცალი; იმერული სამზარეულო – 1500 ცალი. 2015 წლის ივნისსა და სექტემბერში მოეწყო ორი ინფო-ტური კივისა და ხერსონის რეგიონში. 2015 წლის 17 და 18 ივნისს ქალაქ ქუთაისში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებითა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის ტურიზმის განყოფილების მხარდაჭერით, ქალაქ ქუთაისის სასტუმროების მომსახურე პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: სასტუმროს საქმე და მომსახურების უნარ-ჩვევები. საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით მოხდა ტაქსის მძღოლების გადამზადება ინგლისურ ენაში. მათ გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები. 2015 წლის 24 ივლისს მოეწყო უკრაინის დედაქალაქ კიევში „ჟულიანის“ საერთაშორისო აეროპორტში ფოტოგამოფენა სახელწოდებით: „საქართველო, ქუთაისი – უნდა ნახო!“ გამოფენაზე წარმოდგენილ 24 ფოტოზე ასახული იყო ქუთაისისა და მის მახლობლად არსებული ღირსშესანიშნაობები. 2015 წელს ქალაქის სხვადასხვა ადგილზე დაიდგა 15 ტურისტული ობიექტების მიმანიშნებელი.

საპროექტო-სახარჯთადრიცხვო სამუშაოების პროგრამის საკასო ხარჯმა შეადგინა 219,4 ათასი ლარი, გეგმა (366,0 ათასი ლარი) შესრულდა 59,9%-ით.

**განათლების კუთხით** დახარჯულმა თანხებმა 9771,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (10241,6 ათასი ლარი) 95,4%-ია. 2014 წელთან შედარებით (7631,6 ათასი ლარი) ხარჯები გაზრდილია 2139,4 ათასი ლარით.




ააიპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“ 2015 წელს დაფინანსდა 8357,1 ათასი ლარით (გეგმა 8450,0 ათასი ლარი). გაერთიანებაში ბავშვთა რაოდენობა 2015 წელს 9800–დან 10000–მდე მერყეობდა, საშუალოდ ცხადდებოდა 7500 ბავშვი, მომსახურე პერსონალის რაოდენობა შეადგენს 1580 კაცს. 2015 წელს გაერთიანების ყველა ფილიალში შეიცვალა და დამონტაჟდა წყლის მრიცხველები. წლის განმავლობაში ფილიალებისათვის შექმნილ იქნა ახალი ავეჯი, ფარდები, საბნები, ზეწრები, ხალიჩები, წყლის ავზები, მატრასები, სამზარეულოს ინვენტარი, გარდა ამისა, განხორციელდა ბაგა-ბაღების პერსონალის გადამზადება.

ქალაქ ქუთაისში ახალი ბაგა-ბაღების კაპიტალური მშენებლობისათვის გეგმით გამოყოფილი 1606,6 ათასი ლარიდან დაიხარჯა 1250,7 ათასი ლარი, 2015 წელს დასრულდა წინა წელს დაწყებული ორი ახალი ბაღის მშენებლობა სულხან-საბასა და ავტოქარხნის დასახლებებში. 3 ბაგა-ბაღის შენობაზე გაკეთდა მიწებები, შეკეთდა სკოლებთან და ბაგა-ბაღებთან მისასვლელი გზები, დამონტაჟდა უსაფრთხოების ზოლები.

ქალაქ ქუთაისის 2015 წლის განათლების ღონისძიებების პროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილი 185,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 163,2 ათასი ლარი (88,2%). ქალაქის მერის ინიციატივით, დაარსდა მერის სტიპენდია წარმატებული მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის. ჩატარდა შესარჩევი კონკურსი ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით. გამარჯვებულებს – 9 მოსწავლეს და 10 სტუდენტს 2015 წლის მაისიდან დეკემბრის ჩათვლით /8 თვე/ გადაეცა მერის სტიპენდია. აგრეთვე, პროექტ „ეტალონი“ მონაწილეობა მიიღო ქალაქის საჯარო და კერძო სკოლების VIII–XII კლასის მოსწავლეებმა. მიმდინარე წელს წარმოდგენილი 40 მოსწავლიდან გამარჯვებულია მე–20 საჯარო სკოლის მე–10 კლასის მოსწავლე, დემურ დანგაძე. მოეწყო საზაფხულო ბანაკები საჯარო სკოლების მე–8 – მე–10 კლასების სოციალურად დაუცველ და წარმატებულ მოსწავლეთათვის, ორ ნაკადად, შავი ზღვის კურორტზე. ბანაკში დაისვენა 140–მა მოსწავლემ. წლის განმავლობაში, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა, როგორც ბავშვთა სოფლის, ასევე, ქალაქის სხვადასხვა სკოლების ექსკურსიები საქართველოს მასშტაბით. ამასთან, ქალაქის N41 საჯარო სკოლის 7 მოსწავლე და 2 მასწავლებელი, ჟაუტიკოვის სახელობის ყაზახეთის ოლიმპიადაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ დააფინანსა 70 %-ით, ხოლო, ქალაქ ქუთაისის N2 საჯარო სკოლის მოსწავლე იმავე ოლიმპიადაზე გასამგზავრებლად დააფინანსა სრულად. სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებსა და კონფერენციებზე დაფინანსებული მოსწავლეები გახდნენ გამარჯვებულები. ერთი მათგანი ჩაირიცხა პარიზის ნაციონალურ კონსერვატორიაში. ასევე, მგზავრობის თანხით დაფინანსდა აკ.წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ბადრი ფორჩხიძე – ესპანეთის ქალაქ გრანადაში საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესში მონაწილეობისათვის.

**დასვენება, კულტურა და რელიგია** 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 16288,8 ათასი ლარით, რაც გეგმის (16707,8 ათასი ლარი) 97,5%-ს შეადგენს, წინა წელთან შედარებით (13791,5 ათასი ლარი) აღნიშნული კუთხით დაფინანსება გაიზარდა 2498,3 ათასი ლარით:



აიპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებას“ 2015 წლის ბიუჯეტში გამოეყო 3477,3 ათასი ლარი, წლის მანძილზე ათვისებულ იქნა 3477,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს შეადგენს. მიღებული დაფინანსების შედეგად გაერთიანების ფილიალების სპორტსმენებმა 2015 წელს სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში სულ დაიკავეს 1085 საპრიზო ადგილი. I ადგილი დაიკავეს 362 სპორტსმენმა, II ადგილი – 337 სპორტსმენმა, III ადგილი – 386 სპორტსმენმა.

შპს „საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი 2010“ – დაფინანსდა 870,0 ათასი ლარით, ხარჯი შეადგენს გეგმის (870,0 ათასი ლარი) 100%-ს.

„ყინულის მოედნის“ დაფინანსებისათვის გათვალისწინებული იყო 380,0 ათასი ლარი, დაიხარჯა 379,9 ათასი ლარი (100%). 2015 წლის იანვარში ჩატარდა სახალწლო 6 დღიანი კონცერტი. 8 ბავშვმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ჩემპიონატში, რომელიც გაიმართა ბუდაპეშტში, სადაც მოიპოვეს ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, ასევე, ათეულში შევიდა ორი ბავშვი; ქალაქ ბათუმში ჩატარებულ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 14 ბავშვმა და მოიპოვეს ორი ოქროს, ორი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი.

სპორტის განვითარების მიზნით, ადგილობრივ ბიუჯეტში არსებული სპორტული ღონისძიებების პროგრამა დაფინანსდა 617,8 ათასი ლარით, რაც გეგმის (628,5 ათასი ლარი) 98,3%-ია. სპორტის სფეროში ჩატარდა 23 ტურნირი, რაშიც დაიხარჯა 150,3 ათასი ლარი. ამასთან, წარმატებულ 28 სპორტსმენზე გაიცა ყოველთვიური სტიპენდია. ოლიმპიურ ჩემპიონებზე ბიუჯეტიდან გაიცა სტიპენდია 40,0 ათასი ლარის ოდენობით. ქუთაისელი ვეტერანი სპორტსმენებისა და მწვრთნელების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გაიცა ფულადი ჯილდო 7 პიროვნებაზე 6,3 ათასი ლარის ოდენობით. ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გამარჯვებული (პრიზიორები) სპორტსმენების, ვეტერანი სპორტსმენებისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკთა და მწვრთნელთა საპრემიო დაფინანსებამ შეადგინა 85,0 ათასი ლარი. მოქმედი და გარდაცვლილი სპორტსმენების, სპორტის დამსახურებული მუშაკებისა და მწვრთნელების ოჯახების ერთჯერადმა ფინანსურმა დახმარებამ შეადგინა 9,3 ათასი ლარი. ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მქონე სპორტსმენებისა და მწვრთნელების წინა საოლიმპიადო მომზადებისათვის ფინანსური დახმარება შედგენს 1,8 ათას ლარს.



მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობისათვის 2015 წლის ბიუჯეტში დაზუსტებული გეგმით გამოიყო 265,0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 249,7 ათასი ლარი (94,2%). სპორტული მოედნების რეაბილიტაცია განხორციელდა 12 ობიექტზე.

ააიპ „ქალაქ ქუთაისის ხელბურთის კლუბი „ქუთაისი 2015“-ის ხარჯმა შეადგინა 69,6 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 100%-ით. კლუბის მიღწეული წარმატებებია: საქართველოს ჩემპიონატზე დაკავებული მე-3 ადგილი და საქართველოს თასის ფინალისტი.

სპორტის სასახლე დაფინანსდა 186,5 ათასი ლარით, რაც გეგმის (გეგმა 200,0 ათასი ლარი) 93,3%-ია. პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში ჩატარდა 52 ტურნირი.

შპს „საფეხბურთო კლუბი „ტორპედო ქუთაისი“ დაფინანსდა 100%-ით (გეგმა და საკასო ხარჯი 2203,6 ათასი ლარი).

ააიპ „ქუთაისის ტაეკვანდოს სპორტული კლუბის“ ხარჯმა შეადგინა 18,1 ათასი ლარი, გეგმა (30,0 ათ. ლარი) შესრულდა 60,3%-ით. კლუბის წევრი 20 სპორტსმენიდან 1 არის საქართველოს ჩემპიონი; ორი – ვერცხლის მედალოსანი; საქართველოს ნაკრების წევრია 4 სპორტსმენი.

სპორტული ტრენაჟორების მოწყობა დაფინანსდა 44,7 ათასი ლარით, რაც გეგმის (გეგმა 50,0 ათასი ლარი) 89,4%-ია. პროგრამის ფარგლებში მოეწყო 2 ახალი სპორტული ტრენაჟორი.

ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებას“ 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში დაზუსტებული გეგმით გამოიყო 2831,0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2827,8 ათასი ლარი (99,9%). 2015 წლისათვის განათლებას ღებულობდა 2761 მოსწავლე. 2015 წლის განმავლობაში ჩატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებები, სადაც წარმატებით გამოვლინდა მოსწავლეების განათლების მაღალი დონე, კერძოდ, ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებამ“ უზრუნველყო კლასიკური მუსიკის საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე – „ვარსკვლავები ტენერიფზე“ ქალაქ ქუთაისიდან 4 მოსწავლის გამგზავრება; 2015 წლის 21 ნოემბერს, ა(ა)იპ „ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ ფილიალის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ორგანიზებით „ოქროს ჩარდახში“ გაიმართა საქალაქო კონკურსი: „ვკითხულობთ გალაკტიონს“, რომელშიც ქალაქის საჯარო და კერძო სკოლების (I-დან XII კლასის ჩათვლით) მოსწავლეები მონაწილეობდნენ. 2015 წლის 5 ნოემბერს, კულტურის ცენტრში ა(ა)იპ „ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ ფილიალის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ორგანიზებით გაიმართა მხატვრული კითხვის საქალაქო კონკურსი სახელწოდებით: „აწ, ენა მინდა გამოთქმად“, რომელშიც მონაწილეობდა ქალაქის 22-მდე საჯარო და კერძო სკოლების 80-მდე მოსწავლე, I-დან XII კლასის ჩათვლით, რომლებმაც პროზისა და პოეზიის თითო ნიმუში წაიკითხეს. ღონისძიებაში კადეტთა სამხედრო ლიცეუმის კურსანტებიც მონაწილეობდნენ. 2015 წლის 29 აპრილიდან 5 მაისამდე ქალაქ სტოკჰოლმში ჩატარებულ მუსიკოს-შემსრულებელთა IV საერთაშორისო კონკურსში წარმატება მოიპოვა მ.ბალანჩივადის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის ორმა მოსწავლემ. 2015 წლის 1-11 მაისს თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სიდემში ჩატარდა მუსიკოს შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი „ჰარმონი“, რომელზეც ლაურეატის წოდება დაიმსახურა საფორტეპიანო განყოფილების IX კლასის მოსწავლემ.

ი.ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხარჯმა შეადგინა 656,4 ათასი ლარი, გეგმა განისაზღვრა 660,0 ათასი ლარით (99,5%). წლის განმავლობაში შეძენილ იქნა 1509 ცალი წიგნი; საჩუქრად მიღებულია 770 ცალი წიგნი, დისკო, ჟურნალი; პერიოდიკა – გამოწერით – 624 კომპლექტი ჟ/გაზეთი; სულ მიღებულია 2903 ცალი წიგნი, დისკო და ჟ/გაზეთის კომპლექტი. მკითხველთა საშუალო რაოდენობა წლის მანძილზე შეადგენს 10688; წიგნებისა და ჟ/გაზეთების გაცემის რაოდენობა – 160896.

სსიპ „ნ.ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი“ დაფინანსდა 59,0 ათასი ლარით, რაც გეგმის (გეგმა 83,0 ათასი ლარი) 72,3%-ია.

სამეფო კომპლექსი „ოქროს ჩარდახი“ დაფინანსდა 100%-ით (გეგმა 30,3 ათასი ლარი და საკასო ხარჯი 30,2 ათასი ლარი).

ააიპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი“ დაფინანსდა 93,4%-ით (გეგმა 345,0 ათასი ლარი და საკასო ხარჯი – 322,3 ათასი ლარი). წლის განმავლობაში პარკში გაიმართა შემდეგი ღონისძიებები: ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის ერთი მსახიობის თეატრის სპექტაკლი „მოყვასისათვის შეწირულნი“; დავით ტურაშვილის საჯარო ლექცია თემაზე: „წიგნი“; ერთი თვის განმავლობაში პარკის ტერიტორიაზე საცირკო წარმოდგენები გაიმართა. ღია სცენაზე ჩატარდა ოთხი საბავშვო ბაგა-ბაღის საჩვენებელი კონცერტი; გაიმართა ოლიმპიადისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები, სპორტული გარბენი; როსტომ ჩხეიძის საჯარო ლექცია თემაზე: „რეზო გაბაშვილის ცხოვრება“; „რუსთავი-2-ის“ კონცერტი (დამსწრეთა რაოდენობა დაახლოებით 10000 კაცი); 1 ივნისს ჩატარდა ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები, პოეტ დათო ბუაძის პოეზიის საღამო, ნინო ნადირაშვილის წიგნის „წიგნის სარკე“ პრეზენტაცია, სოსო იარღანაშვილის წიგნის: „ფიქრების ბოღჩა“ პრეზენტაცია.

ააიპ „ქუთაისის ფოლკლორის ცენტრი – სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“ დაფინანსდა 98,2%-ით (გეგმა 765,0 ათასი ლარი და საკასო ხარჯი – 751,6 ათასი ლარი). ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულ კონცერტებში, კერძოდ უნგრეთში, ლიტვაში, უკრაინაში.

ააიპ „ბოტანიკური ბაღი“ დაფინანსდა 99,9%-ით (გეგმა – 315,0 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 314,8 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში მოეწყო: ნიკო მარის სახლ-მუზეუმი ბაღში არსებულ ისტორიულ შენობაში; სანერგე მეურნეობა, სადაც უკვე დარგულია 3000-მდე სხვადასხვა სახეობის მცენარე; დეკორატიული კუთხეები, 6 ალპინარიუმი ბაღის სხვადასხვა ადგილას; მრგვალი აუზის ირგვლივ, წრეზე მოეწყო ბამბუკის მოაჯირები გრებილი ზღუდით; განხორციელდა ადმინისტრაციული შენობის გადახურვის რემონტი. გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან; ბაღის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ბათუმსა და თბილისში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში; ჩატარდა ორმასობის დღეებთან დაკავშირებული ღონისძიებები და მოხდა განხორციელებული პროექტების პრეზენტაცია; ბაღის შესასვლელში მოეწყო დეკორატიულად გაფორმებული აბრა განათებით; მომზადდა და გამოიცა წიგნი „ქუთაისის ბოტანიკური ბაღის“ შესახებ; აღდგენლ იქნა წყალმცენარეთა ოვალური აუზი და მისი წყალმომარაგების სისტემა; აუზში მოეწყო მცირე ფანტანი; მოხდა ბუნებრივი აირის შეყვანა ადმინისტრაციულ შენობაში; შეძენილ იქნა ტექნიკა ბაღის დასუფთავებისა და სხვადასხვა სამუშაოებისათვის. ჩატარდა სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები, შეხვედრები სკოლების, უნივერსიტეტების, ბაღებისა და სხვა ორგანიზაციების მონაწილეობით; კეთილმოეწყო ტერიტორია ყოფილ ადმინისტრაციულ შენობასა და გარემონტებულ ისტორიულ შენობას შორის; მოეწყო დ.ნაზარიშვილის სახელობის ხეივანი გეოგრაფიულ უბანში; დამზადდა და ბაღის ტერიტორიაზე განთავსდა ბამბუკის ახალი საბაღე სკამები და მაგიდები; ზედა პარკში არსებული ჭის მიმდებარედ დამონტაჟდა ხის ხელნაკეთი დეკორატიული მაგიდა და დასაჯდომები; მოეწყო ქოლგისებური კონსტრუქციის ყვავილებით დაფარული პერგოლი წყალმცენარეთა აუზის გასწვრივ.

ქალაქ ქუთაისში „ბოტანიკური ბაღის“ ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის გამოყოფილი 31,9 ათასი ლარიდან დაიხარჯა 24,6 ათასი ლარი (77,1%).

ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ხარჯმა შეადგინა 1024,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (1025,0 ათასი ლარი) 100%-ია.

მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი დაფინანსდა 100%-ით (გეგმა 925,0 ათასი ლარი და საკასო ხარჯი – 924,9 ათასი ლარი).

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი დაფინანსდა 100%-ით (გეგმა და საკასო ხარჯი – 205,0 ათასი ლარი).

ქალაქ ქუთაისში სკულპტურული ქანდაკებების დადგმა–დემონტაჟისა და მემორიალური დაფების მოწყობის პროგრამის ხარჯმა შეადგინა 4,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (16,3 ათასი ლარი) 28,8%-ია.


კულტურის ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში გეგმით გათვალისწინებული 889,2 ათასი ლარიდან დაიხარჯა 717,2 ათასი ლარი (80,7%). 2015 წელს ქუთაისის მერიის კულტურის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის კალენდარული ღონისძიებები დაიწყო ახალი წლის აღსანიშნავი სხვადასხვა სახის წარმოდგენებით და გაგრძელდა წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებებით. წლის განმავლობაში გამოიცა 11 წიგნი, 4 ჟურნალი, 2 გაზეთი. თეატრის იჯარით უზრუნველყოფა განხორციელდა 32 ღონისძიებისათვის; განხორციელდა აპარატურით მომსახურება 32 ღონისძიებაზე; 12 ქუთაისელ მხატვარს და 21 ქუთაისელ მსახიობს, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გადაეცა ფულადი ჯილდო; 7 არტისტზე გაიცა სტიპენდია.

საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა დაფინანსდა 81,7%-ით (გეგმა – 138,0 ათასი ლარი; ხარჯი 112,8 ათასი ლარი).

ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებები დაფინანსდა 67,5%-ით (გეგმა – 206,1 ათასი ლარი; ხარჯი 139,1 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 19 ღონისძიება; განხორციელდა 3 ბანაკი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 265 ახალგაზრდამ; წლის განმავლობაში გამოვლინდა 23 წარმარტებული ახალგაზრდა და გადაეცათ ერთჯერადი ჯილდო; ესპანეთში ქალაქ ტენერიფეში ჩატარებულ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 4 ქუთაისელმა ახალგაზრდამ და მოიპოვეს ჯილდოები და პრიზები.

ქუთაის–გაენათის ეპარქია დაფინანსდა 83,2%-ით (გეგმა – 68,0 ათასი ლარი; ხარჯი 56,6 ათასი ლარი).

**ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ მომსახურებაზე** გაწეული ხარჯების საკასო შესრულებამ 3082,7 ლარი შეადგინა, გეგმა (3577,4 ათასი ლარი) შესრულდა 86,2%-ით.



აიპ „ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრისათვის“ წლის განმავლობაში დახარჯულმა თანხამ შეადგინა 140,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (150,0 ათასი ლარი) 93,5%-ია. ცენტრის მიერ 2015 წელს განხორციელდა შემდეგი ძირითადი საქმიანობები: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი. პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება. ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა. მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის დაწესებულებებში დაავადებათა რეგისტრაციის, შეტყობინებისა და ანგარიშების მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგების შეფასება და მეთოდური დახმარება.

ინფექციის კერებში ლაბორატორიული სინჯების აღება და ტრანსპორტირება რეგიონულ ცენტრში. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით. ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალისა და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა სტაციონარებისათვის. ვაქცინათა და სხვა ასაცრელი მასალების ლოჯისტიკაზე ზედამხედველობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები ფაუნის შესწავლა და დადგენა. პრევენციული და კონტროლის ღონისძიებების გატარება პარაზიტული და ჰელმინტური დაავადებების კვლევა. მალარიის დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა. სხვა პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა და რეკომენდაციების მიწოდება. საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, ანგარიშების მომზადება-წარდგენა. ცხოვრების ჯანსაღი წესისა და უნარ-ჩვევების დამკვიდრების, მავნე ჩვევათა კორექციისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო საშუალებებითა და სპეციფიკური ღონისძიებებით საკომუნიკაციო კამპანიების ორგანიზება და წარმართვა.

მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 236,3 ათასი ლარი, გეგმა განისაზღვრა 300,0 ათასი ლარით (78,8%); პროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლა 2743-მა ბენეფიციარმა.

სამედიცინო დახმარებისათვის დაიხარჯა 430,4 ათასი ლარი, გეგმის (473,0 ათასი ლარი) 91%. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლა 1512 ბენეფიციარმა.

ეპილევსიით დაავადებულთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფის პროგრამის ხარჯმა შეადგინა 29,5 ათასი ლარი, გეგმა (31,0 ათასი ლარი) დაფინანსდა 95,2%-ით. პროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლა 178-მა ბენეფიციარმა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევა დაფინანსდა 19,9 ათასი ლარით, გეგმა განისაზღვრა 20,0 ათასი ლარით (100%). პროგრამა ითვალისწინებდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა პროფილაქტიკურ გამოკვლევებს. გამოკვლევით ისარგებლა 8759 ბენეფიციარმა.

სარიტუალო დახმარების პროგრამის ბიუჯეტი გეგმით შეადგენდა 70,0 ათას ლარს, საიდანაც დაიხარჯა 37,4 ათასი ლარი (53,4%). პროგრამის ფარგლებში ისარგებლა 142-მა ბენეფიციარმა.

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებისათვის – წლის განმავლობაში დაიხარჯა 605,1 ათასი ლარი, გეგმის (670,0 ათასი ლარი) 90,3%. პროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლა 455-მა ბენეფიციარმა.

სოციალური ღონისძიებების პროგრამა – საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 360,8 ათასი ლარი, გეგმა (385,0 ათასი ლარი) შესრულდა 93,7%-ით. 2015 წლის პირველი ახალშობილის (6 ახალშობილი) მშობლებს გაეწიათ მატერიალური დახმარება თითოეულს 800 ლარის ოდენობით; ავღანეთის ომის ვეტერანებისათვის მოეწყო ღონისძიება, 29 ბენეფიციარზე; 26 აპრილს, ჩერნობილის 28-ე წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო ღონისძიება 130 ბენეფიციარზე; აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით მოწყობილი ღონისძიებით ისარგებლა 2628 ბენეფიციარმა; 9 მაისს მოწყობილი ღონისძიებით – 47-მა ბენეფიციარმა; 22 ივლისს რეპრესირებულთა დღესთან დაკავშირებით მოწყობილ ღონისძიებით – 40-მა ბენეფიციარმა; შავი ზღვის სანაპიროზე კურორტული სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურება გაეწია 397 ბენეფიციარს; მოეწყო ალაფურმეტი 1 ოქტომბერს ხანდაზმულთა დღესთან დაკავშირებით; 3 დეკემბერს ინვალიდთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოწყობილ ღონისძიებაში 130 ბენეფიციარს გადაეცა ფასიანი საჩუქრები; ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით მოეწყო ღონისძიება 3073 ბენეფიციარზე; ასევე პროგრამით დაიხარჯა „წითელი ჯვრის“ და ვეტერანთა

ქუთაისის საქალაქო კავშირის მომსახურების ხარჯები, ასევე დაიხარჯა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებისათვის გვირგვინებისა და თაიგულების შექმნისათვის საჭირო თანხები.

უფასო მგზავრობის პროგრამა – წლის განმავლობაში დახარჯულმა თანხამ შეადგინა 119,9 ათასი ლარი, გეგმის (167,0 ათასი ლარი) 71,8%. საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში მომსახურებით ისარგებლა 1143-მა ბენეფიციარმა,

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომის პროგრამის ბიუჯეტი დაზუსტებული გეგმით შეადგენდა 150,0 ათას ლარს, დახარჯულმა თანხამ შეადგინა 130,1 ათასი ლარი (86,7%). აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, დახმარება გაეწია 104 ბენეფიციარს.

მარტოხელა მოხუცთა თავშესაფრის კომუნალური ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 13,6 ათასი ლარი, გეგმა (20,0 ათასი ლარი) შესრულდა 68%-ით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა „სოციალური საცხოვრისის“ მობინდრეთა (14 ოჯახი) მიერ მოხმარებული ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის თანხების ანაზღაურება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური ინტეგრაციის პროგრამის ხარჯმა შეადგინა 14,2 ათასი ლარი, გეგმა (25,0 ათასი ლარი) შესრულდა 56,8%-ით. პროგრამით ისარგებლა 45-მა ბენეფიციარმა.

ქალაქ ქუთაისში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის განსაზღვრული წლიური გეგმა 430,0 ათასი ლარი დაფინანსდა 303,8 ათასი ლარით (70,7%). პროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლა 5269 ბენეფიციარმა.

„შინმოვლის“ მომსახურების პროგრამა დაფინანსდა 20,0 ათასი ლარით (100%). პროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლა 61-მა ბენეფიციარმა.

ქალაქ ქუთაისში გუმათის ტერიტორიული ერთეულის სოციალურად დაუცველი ოჯახების ბუნებრივი აირის გამრიცხველიანების ხელშეწყობის პროგრამა დაფინანსდა 40%-ით. (გეგმა 20,0 ათასი ლარი და საკასო ხარჯი 8,0 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლა 40-მა ბენეფიციარმა,

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილ მემართა ოჯახების კომუნალური გადასახადების თანადაფინანსების პროგრამა დაფინანსდა 41,3%-ით (გეგმა 24,0 ათასი ლარი და საკასო ხარჯი 9,9 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლა 24-მა ოჯახმა.

აიპ „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი“ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსდა 592,8 ათასი ლარით, გეგმა (608,0 ათასი ლარი) შესრულდა 97,5%-ით. მადლიერების სახლში ფუნქციონირებს უფასო სასადილო, სადაც იკვებება 800 ბენეფიციარი.

ქუთაისში რეგისტრირებულ (მცხოვრებ) ლეიკოზით დაავადებულ პირთა თანადგომა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსდა 10,8 ათასი ლარით, გეგმა (14,4 ათასი ლარი) შესრულდა 75%-ით. პროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლა 12-მა ბენეფიციარმა.

**შენიშვნა:** წინამდებარე ანგარიში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-20 სხდომაზე, 2016 წლის 30 მარტს, წარმოდგენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მერის, შ.მურდულიას მიერ.